ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №916954

ნომერი: AR1162882

თარიღი : 18.09.2013

გაცემის თარიღი : 25.09.2013

გაცნობის თარიღი : 26.09.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გარი მაიქლ დონქლი პ/ნ 01191001952
- თბილისი წყნეთის გზატ. N 52

ორგანიზაცია:

- შპს "რაკიინ აფთაუნ დეველოპმენტი" კოდი: 204557014

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის პასუხად, სადაც ითხოვთ #01.72.14.007.435 საკადასტრო ერთეულზე, ორი ცალკე მდგომი ერთსართულიანი სარეზერვო საგენერატორო შენობის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას, გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე და მის მიმდებარე ტერიტორიებზე უკვე მომზადებულია ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ქალაქგეგმარებითი პირობები #43 (22.01.2008) და გავლილი აქვს პროექტის შეთანხმების სტადია ბრძანებებით: #01/1487 (29.10.2008) და #386957 (23.10.2012). გამომდინარე აქედან, თუ საპროექტო ობიექტი განეკუთვნება პირველი კლასის მახასიათებლებს, ნებართვის მისაღებად საჭიროა ელექტრონულ განცხადებებში აირჩიოთ შესაბამისი ნომენკლატურა და ატვირთოთ შესაბამისი დოკუმენტაცია. სხვა შემთხვევაში, საჭიროა მოახდინოთ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge